ყველაფერი პროფესიული
განათლების შესახებ

ALL ABOUT VOCATIONAL
EDUCATION AND TRAINING

2023 წელი

პროფესიული პროგრამები

კერძო კოლეჯების კატალოგი

პროფესიული პროგრამები

გამოქვეყნებული კატალოგი „პროფესიული პროგრამები 2023“ არის ჟურნალის „ყველაფერი პროფესიული განათლების შესახებ - ALL ABOUT VOCATIONAL EDUCATION AND TRAINING " ინტელექტუალური საკუთრება და ყველა უფლება დაცულია.

კატალოგი „პროფესიული პროგრამები 2023“ გამოიცა ჟურნალის „ყველაფერი პროფესიული განათლების შესახებ - ALL ABOUT VOCATIONAL EDUCATIONA AND TRAINING” ეგიდით, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვეიცარიის მთავრობის ხელშეწყობით. გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ჟურნალისა და კატალოგის ავტორებს და შესაძლოა, არ ასახავდეს UNDP-ისა და შვეიცარიის მთავრობის თვალსაზრისს.

დამფუძნებელი:
ნინო ელბაქიძე

დიზაინერი:
მელანო კოპლატაძე

სტილის რედაქტორი:
მაია წიკლაური

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი:
ომარ ტერტერაშვილი

შინაარსი

2 შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია
4 შპს - ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი
6 შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი
8 შპს - ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი „ანრი“
10 შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი „არსი“
12 შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“
14 შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA
16 შპს ბარაკონი
18 შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA
20 დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი
22 „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“
24 შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია
26 შპს „თეგეტა აკადემია“
28 შპს ინტერბიზნესის აკადემია
30 შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი''
32 შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედი
34 შპს მარნეულის კოლეჯი
36 შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი
38 შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“
40 შპს კოლეჯი მესამე სამედიცინო
42 შპს საზოგადოებრივი კოლეჯი NATALI ACADEMY
44 შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა
46 შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი“
48 კოლეჯი შპს „პროფიუნიტი“
50 საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი
52 შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი
54 შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია
56 შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი
58 კოლეჯი შპს სიო
60 შპს ცხუმ-ეგრისი
62 ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
64 შპს ორიენტირი

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

ქ. თბილისი, ქ. საჩხერე

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია (BTA) 31-წლიან საგანმანათლებლო გამოცდილებაზე დაფუძნებული ავტორიზებული კოლეჯია, რომელიც:

- ISO 9001:2015 და IQNet-ის საერთაშორისო სერტიფიკატის ხარისხს დღემდე ინარჩუნებს;
- გამოირჩევა ქვეყნისთვის პრიორიტეტული მრავალდარგოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- 2018 წელს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ დაჯილდოვდა წლის საუკეთესო პარტნიორის ტიტულით;
- კოლეჯების ბრენდირების ფარგლებში, 2016-2017 წლებში 2-ჯერ დაჯილდოვდა უმაღლესი შეფასებით - 5 ვარსკვლავით;
- ოპერირებს ქ. თბილისსა და ქ. საჩხერეში. ქ. თბილისში ფლობს ორ საკუთარ შენობას, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სიმულაციური სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიებით და სრულად ადაპტირებულია შშმ და სსსმ პირებისთვის;
- რეგიონისა და ქვეყნის განვითარებისთვის საჩხერის მუნიციპალიტეტში (2900 კვ.მ.) აშენებს სასწავლო- საგანმანათლებლო ჰაბს;
- ·ურსდამთავრებულთა წარმატებით დასაქმების მიზნით, უწყვეტად თანამშრომლობს კერძო და საჯარო დაწესებულებებთან;

ამასთან ერთად:

- პროფესიული კოლეჯების ისტორიაში პირველად, აკადემიაში შეიქმნა ,,ეკოკლუბი“ მდგრადი განვითარების მიზნებზე სამუშაოდ;
- ინოვაციური იდეების განხორციელების მიზნით, ,,ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, აკადემიაში შექმნილია და დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს სასწავლო საწარმო.

აკადემიის სტრატეგიული სლოგანია: ,,უწყვეტი განვითარება და სიახლეების დანერგვა“!

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მისიაა: მრავალპროფილური საგანმანათლებლო საქმიანობა, მომხმარებლებისათვის ინოვაციური მიდგომებით მაღალი ხარისხის სასწავლო-სამუშაო პირობების შეთავაზება.

აკადემია ისწრაფვის: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფისკენ, ადამიანური კაპიტალის უწყვეტი განვითარებისკენ, რაც განსაზღვრავს მის როლს ეროვნულ და საერთაშორისო სივრცეში.

ქ. თბილისი, წერონისის ქ. 208
ქ. თბილისი, ც. დადიანის 28
ქ. საჩხერე, გომართელის ქ. #14 ვ

032 2 24 95 57
593 30 32 11; 574 00 80 80

s. macharashvili.bta@gmail.com
btaedu@yahoo.com

www. bta.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

ქ. თბილისი

- შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
- აღმზრდელი
- საექთნო განათლება
- ელექტრობა
- საბაჟო საქმე
- ვებტექნოლოგიები
- ვებტექნოლოგი (ინტეგრირებული)
- ინფორმაციის ტექნოლოგია
- მშენებლობის მწარმოებელი (კონსტრუქციების მომწყობი)
- საოფისე საქმე

ქ. საჩხერე

- აღმზრდელი
- საექთნო განათლება
- ინფორმაციის ტექნოლოგია

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების პროგრამები:

- არგონრკალური შედუღება
- გერიატრიული ასისტენტი
- გრაფიკული დიზაინი
- ელექტრორკალური შედუღება
- ელექტრო ტექნოლოგია და უსაფრთხოება
- ვებგვერდის შექმნა და მართვა
- ნარჩენების მართვა
- საინჟინრო ნახაზების შექმნა CAD სისტემებით
- სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი;
- სისტემური ადმინისტრირება

პროფესიული გადამზადების პროგრამები:

- ადრეული განათლების სპეციალისტი
- სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა

ქ. საჩხერე

პროფესიული მომზადების პროგრამა:

- სისტემური ადმინისტრირება

პროფესიული გადამზადების პროგრამები:

- სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა

შპს – ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივმა კოლეჯმა ავტორიზაცია გაიარა 2019 წელს. აქვს ორი ფაკულტეტი - საბუღალტრო საქმე (40 ადგილი) და საექთნო საქმე (60 ადგილი).

ამ ეტაპზე მიმდინარეობს აბიტურიენტების რეგისტრაცია ორივე ფაკულტეტზე.

ავიცენას კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი ირანის ისლამური რესპუბლიკის კლინიკებთან სამედიცინი მიმართულებით. მემორანდუმის ფარგლებში ჩატარებულია რამდენიმე ერთობლივი კონფერენცია.

ამჟამად დასრულებულია მუშაობა ახალ ფაკულტეტზე: კანის მოვლა და სპა პროცედურები.

კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები საქართველოს წამყვან კოსმეტოლოგიურ ცენტრებთან და, ასევე, გერმანიის ერთ-ერთ კოსმეტოლოგიურ ცენტრთან. ჩატარდა ტრენინგები ამ მიმართულების წამყვან სპეციალისტებთან.

ქ. თბილისი, ხოშარაულის ქ. #30

577052770, 568999078

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- საბუღალტრო საქმე
- საექთნო საქმე

შპს – საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი 22 წელია პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსით კოლეჯი ამაგი დაფუძნდა 2012 წელს და ამავე წელს გაიარა ავტორიზაცია. 2018 წლის 29 იანვარს კოლეჯმა წარმატებით გაიარა რეავტორიზაცია საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსით და 6 წლის ვადით მოიპოვა თანამედროვე შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ჯანდაცვისა და ვეტერინარიის მიმართულებით. კოლეჯი უზრუნველყოფილია ყველა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის, აღჭურვილია სასწავლო ინვენტარით, კაბინეტ-ლაბორატორიებით, სასწავლო სახელმძღვანელოებით, სხვადასხვა თვალსაჩინოებით და ქმნის საუკეთესო გარემო პირობებს პროფესიული სტუდენტებისათვის.

კოლეჯმა მოიზიდა მაღალკვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლები, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალ ხარისხს.

კოლეჯი ორიენტირებულია, საბაზრო მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შესთავაზოს დაიტერესებულ პირებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები სტუდენტს გამოუმუშავებს თეორიულ და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. ასევე, წამყვან ორგანიზაციებთან თანამშრომლობა დარგის მიმართულებით, ხელს უწყობს პრაქტიკული მეცადინეობის რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელებას.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი პროფესიული კოლეჯების ასოციაციის წევრია; აქტიურად მონაწილეობს პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისა და სრულყოფის პროცესში.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი არის შიდა ქართლის რეგიონში მოქმედი ერთადერთი კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება და უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების მომზადებას.

ქ. გორი, ცხინვალის გზ.#9

0370 27 05 57

info@amagi.edu.ge

www.amagi.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- ვეტერინარია - V დონე; ხანგრძლივობა - 2 წელი
- ფარმაცია (სააფთიაქო) - V დონე; ხანგრძლივობა - 2 წელი
- საექთნო განათლება - V დონე; ხანგრძლივობა - 3 წელი
- დენტალური საქმის ასისტირება (სტომატოლოგის ასისტენტი) IV დონე ხანგრძლივობა - 2 წელი

შპს – ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი „ანრი“

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი „ანრი“ 20 წელიწადზე მეტია ემსახურება საზღვაო განთლებას და მეზღვაურთა წვრთნას.
სასწავლებელს ორი ძირითადი მიმართულება აქვს:

- საზღვაო პროფესიული განათლება (საზღვაო კოლეჯი)
- მეზღვაურთა წვრთნა (მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრი)

სასწავლებელი სერტიფიცირებულია ხარისხის საერთაშორისო სისტემის ISO 9001:2015 შესაბამისად. ასევე, გააჩნია IQNet-ის სერტიფიკატი.

საზღვაო სასწავლებელ „ანრის“ კოლეჯი არის ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს ორ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, სპეციალობებით:

- საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - სწავლის ხანგრძლივობა 15 თვე;
- გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - სწავლის ხანგრძლივობა 14 თვე.

ხარისხსა და განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო-საგანმანათლებლო, საწვრთნელი პროცესების განსახორციელებლად, საზღვაო სასწავლებელს საკუთრებაში აქვს საგანმანათლებლო და საწვრთნელი, ნაციონალურ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი, მატერიალურ–ტექნიკური ბაზა, მათ შორის, საკუთარი 6-სართულიანი შენობა, რომელშიც განთავსებულია საკლასო, საწვრთნელი კლასები/აუდიტორიები, ლაბორატორიები, ტრენაჟორი–სიმულატორები, საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა და საერთო საცხოვრებელი. პრატქიკული მეცადინეობებისა და წვრთნებისთვის სასწავლებელს საკუთრებაში აქვს სასწავლო-საწვრთნელი გემი “კაპიტანი ო.ჩახვაძე”, კურსების შესაბამისი სიმულატორები, სწრაფმავალი და სამაშველო კატარღები, მოტონავი, სამაშველო ტივი, ლაბორატორიები და საამქროები, რეალური გემის მოდელი, უცხო ენების შემსწავლელი კლასი, კომპიუტერული კლასები და სხვა.

პროფესიული სტუდენტებისთვის შექმნილია კომფორტული სასწავლო გარემო. ლექციები მიმდინარეობს ინტერაქტიულ რეჟიმში, ღია ლექციების, პრეზენტაციების, ჯგუფური მუშაობისა და პრატქიკული წვრთნების გათვალისწინებით. სასწავლებელი მნიშვნელოვან ყურადრებას ანიჭებს პროფესიული სტუდენტების გართობის მხარესაც. სასწავლო წლის განმავლობაში, პროფესიული სტუდენტების პრიორიტეტების გათვალისწინებით, იგეგმება სხვადასხვა სახის შემეცნებითი, სპორტული, გასართობი ღონისძიებები; ეწყობა პროფესიული სტუდენტების შეხვედრები დარგის სპეციალისტებთან, დამსაქმებლებთან.
განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ჯგუფურ მუშაობას და პრაქტიკულ წვრთნებს, რისთვისაც სასწავლებელი ფლობს შესაბამის რესურსს. სიმულატორზე დაფუძნებული ყოველი წვრთნა მიზნად ისახავს მეზღვაურებში კონკრეტული უნარების განვითარებას.
საგანმანათლებლო და საწვრთნელ პროცესებს ახორციელებენ გამოცდილი საზღვაო დარგის სპეციალისტები,პროფესიული განათლების კვალიფიციური მასწავლებლები და ინსტრუქტორები.
საზღვაო სასწავლებელი „ანრი“ მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო საკრუინგო და გემთმფლობელ კომპანიასთან, რათა ხელი შეუწყოს პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულებს დასაქმებაში.

იურ. ქ. ბათუმი, შ.ხიმშიაშვილის ქ. 11/4
ფაქტ. ქ. ბათუმი, დავით მამულაძის ქ. 29

995 579 799 944; 995 579 234 499

info@mtc-anri.ge

www.mtc-anri.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - სწავლის ხანგრძლივობა 15 თვე
- გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - სწავლის ხანგრძლივობა 14 თვე

შპს – საზოგადოებრივი კოლეჯი „არსი“

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

კოლეჯი „არსი“ ქვემო ქართლის რეგიონში, კერძოდ, რუსთავში ოპერირებს და მისი პროფილი ორ ძირითად სასწავლო მიმართულებას მოიცავს - ჯანდაცვისა და ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამებს. კოლეჯი თანამშრომლობს რუსთავის ამავე მიმართულების მსხვილ და წარმატებულ ორგანიზაციებთან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული პროცესში არა მარტო როგორც პრაქტიკული კომპონენტების განმახორციელებელი პარტნიორები, არამედ როგორც „არსის“ კურსდამთავრებულთა აქტიური დამსაქმებლებიც.

კოლეჯმა მაღალი ავტორიტეტი მოიპოვა პროფესიული განათლების მიმღებთა შორის, რისი დასტურიც არის ის ფაქტი, რომ კოლეჯის პროგრამებზე (პირველ რიგში ეს ეხება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროგრამებს) დარეგისტრირებულ პირთა რაოდენობა მინიმუმ 3-ჯერ აღემატება დღეისათვის არსებულ კვოტას. ყოველწლიურად უფრო მეტად იზრდება კოლეჯის სოციალურ პარტნიორთა რიცხვიც, რადგან მათთვის უკვე ცნობილია კოლეჯის კურსდამთავრებულთა საუკეთესო შედეგების, მომზადების ხარისხისა და კოლეჯის მაღალი პასუხისმგებლობის შესახებ სასწავლო პროცესის წარმართვის კუთხით.

კოლეჯი „არსი“ პანდემიამდე პერიოდში საკმაოდ დიდ დროს უთმობდა სტუდენტთა არაფორმალური ცხოვრებისა და ე.წ. ექსტრაკურიკულური აქტივობების ხელშეწყობას, რასაც მოწმობს ჩვენი დიდი არქივი და საგაზეთო სტატიები კოლეჯში ჩატარებული სპექტაკლების, სტუდენტური ღონისძიებების, ლიტერატურული შეხვედრებისა და, ასევე, სხვადასხვა პროექტში წარმატებული სტუდენტების დაჯილდოებების შესახებ. პანდემიის პერიოდმა საკმაოდ შეაფერხა კოლეჯის აქტივობა ამ მიმართულებით. 2022 წლის გაზაფხულიდან კოლეჯი ცდილობს ისევ გააქტიურდეს ამ კუთხით და გეგმავს ახალი სტრატეგიების დასახვას.

კოლეჯს დიდი გამოცდილება აქვს მოკლევადიანი ე.წ. ავტონომიური რეჟიმის პროგრამების განხორციელების მხრივ. გრძელვადიანი, ე.წ. სადიპლომო პროგრამების პარალელურად, კოლეჯი ყოველთვის სთავაზობდა არაფორმალური განათლების მიღების მსურველებს სატრენინგო კურსებს, რომელთა დასრულების შემდეგ მოკლე დროში და პრაქტიკული უნარებით შეიარაღებული კურსდამთავრებულები აქტიურად შედიოდნენ შრომის ბაზრის შესაბამის სექტორში. ეს გამოცდილება კოლეჯმა ზრდასრულთა მომზადების პროგამებში ჩასართავადაც გამოიყენა და კოლეჯს უკვე აქვს 3 პროფესიული მომზადების პროგრამა.

კოლეჯი „არსი“ აქტიურ კომუნიკაციას ინარჩუნებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან; აქვს აქტიური გასვლები მუნიციპალურ სკოლებში და ამით ცდილობს საკუთარი პროგრამების შეთავაზების გარდა, ზოგადად, პროფესიული განათლების მიღების მიმზიდველობისა და პერსპექტიულობის შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია ახალ თაობასაც და ზრდასრულ მოსახლეობასაც და დააინტერესოს ისინი პერსპექტიული პროგრამებით. კოლეჯი კვლავ გეგმავს დანერგოს სიახლეები, კარგად შეიწავლოს მისი სტუდენტებისა თუ სოციალური პარტნიორების ძირითადი სურვილები და მოლოდინები და მაქსიმალურად ეცადოს ამ საჭიროებების უზრუნველყოფა-განვითარებას.

ქ. რუსთავი, აფხაზეთის ქ. # 12
ყოფილი შარტავას გამზ # 4

571 77 82 26

collegearsi@yahoo.com

www.collegearsi.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- ფარმაცია
- საექთნო
- საფინანსო სერვისები

- გერიატრიული ასისტენტი
- სალაროს ოპერაციების განხორციელება

შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“

ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორია იწყება 1999 წლიდან. ამ წელს დაარსდა ქალაქ ბათუმში „ბათუმის საზღვაო კოლეჯი - მეზღვაურთა სკოლა“, 2002 წელს კი მეზღვაურთა მომზადება-გადამზადებისა და სერტიფიცირების საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრი „მერკური“. 2007 წელს ამ სასწავლებლების ბაზაზე დაფუძნდა ,,ბათუმის ნავიგაციის ინსტიტუტი - საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრი“, 2008 წელს მას ეწოდა „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“. 2013 წელს, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს“ მიენიჭა საგანმანათლებლო საქმიანობის უფლება.

2013 წლიდან, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, ,,ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი” ითვლება აკრედიტებულად და წარმატებით ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს: ,,საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური“, ,,გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური“, ,,საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტრობა“.

ასევე, 2022 წლიდან ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებს: პროფესიული მომზადების პროგრამებს - ,,სამგზავრო გემის მიმტანი“, ,,სამგზავრო გემის ბართენდერი“; პროფესიული გადამზადების პროგრამას - ,,გემის მზარეული“.

„ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს“ საგანმანათლებლო პროგრამებით, ინოვაციების ხელშეწყობით, თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირებით აქვს ამბიცია და ყველა საჭირო რესურსი, მისცეს პროფესიულ სტუდენტებს მოტივაცია და შესაძლებლობა, გახდნენ კონკურენტუნარიანი სპეციალისტები ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

ქ. ბათუმი,
თამარ მეფის გამზირი #38

0422 29 25 25; 29 32 32, 25 42 92

info@bntu.edu.ge

www.bntu.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური

2023 წლის პროგრამები:

- გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური
- საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტრობა

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- სამგზავრო გემის მიმტანი
- სამგზავრო გემის ბართენდერი
- გემის მზარეული

შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA

ინფორმაცია აკადემიის შესახებ

შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA, როგორც ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, ბაზარზე უწყვეტ რეჟიმში ფუნქციონირებს 2004 წლიდან. 2013 წლამდე ის იწოდებოდა - შპს ბათუმის მრავალდარგოვანი კოლეჯი მედიცინა.

აკადემია ამზადებს ჯანდაცვისა და ბიზნესის სფეროს მიმართულების სპეციალისტებს.

აკადემიის კურსდამთავრებულები დასაქმებულნი არიან სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში მთელი საქართველოს მასშტაბით.

აკადემიას გააჩნია თანამედროვე ინფრასტრუქტურა – მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საბაზრო მოთხოვნებზე ორიენტირებული, მუდმივად განახლებადი სასწავლო გეგმები და პროგრამები.

აკადემია ხარისხიანი მომსახურებისა და მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროდუქტის შექმნით უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრების მომზადებას, რომელთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა შეესაბამება თანამედროვე ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

ქ. ბათუმი, გრიბოედოვის #67

0422 227 163
593 931 791, 555 983 212

bmk.edu.ge@gmail.com

www. bpa.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- საექთნო განათლება (უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში)
- ფარმაცია (სააფთიაქო) (უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში)
- ბუღალტრული აღრიცხვა (უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში)
- საოფისე საქმე
- საფინანსო სერვისები (ბანკი, დაზღვევა)

შპს ბარაკონი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

ავტორიზებული სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება ბარაკონი დაფუძნდა 1992 წელს. 2018 წლიდან კოლეჯს 6 წლის ვადით აქვს მინიჭებული ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. კოლეჯი 30 წელზე მეტია ზრუნავს პროფესიული სტუდენტების მათთვის სასურველი პროფესიებით უზრუნველყოფაზე.

კოლეჯი დაარსდა პრინციპით – განათლებამ უნდა აამაღლოს ადამიანის ღირსება და ხელი შეუწყოს სამოქალაქო პასუხისმგებლობას და თანაგრძნობას

კოლეჯი გაერთიანებულია შემდეგი ძირითადი ღირებულებების გარშემო:

მრავალფეროვნება: ყველა სტუდენტის მრავალფეროვანი ღირებულებები, მიზნები, განსხვავებული შესაძლებლობები და სწავლების სტრატეგიები აღიარებული და მხარდაჭერილია.

პროგრამების წარმატებით დასრულება: სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, თავიანთი საჭიროებების დაკმაყოფილებით მიაღწიონ მრავალფეროვან მიზნებს.

პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა: პროგრამების სისტემატური მონიტორინგი, რათა პროგრამის წარმატებით დასრულება სრულად შეესაბამებოდეს კონკრეტულ პოზიციას შრომის ბაზარზე.

ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფა: კოლეჯის ადმინისტრაციული, დამხმარე სამსახურების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესწავლა და მუდმივი გაუმჯობესება კოლეჯის ხედვის, მისიისა და მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად.

მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლა: წახალისებულნი არიან ენთუზიასტი, დამოუკიდებელი ადამიანები, რომლებიც პიროვნული ზრდისკენ ისწრაფვიან.

თანამშრომლობა: ფასდება გუნდური მუშაობა, თანამშრომლობა და დაინტერესებული მხარეებისგან ინფორმაციის მიღება.

ერთიანობა: ყველა საქმიანობა მიმართულია კოლეჯის მიზნების, გეგმების, პრიორიტეტების მისაღწევად. მნიშვნელობა არ აქვს კოლეჯის დაარსებამდე დიდი ხნით ადრე დაიბადე თუ მეცხრე კლასი ახლახანს დაამთავრე, ბარაკონში სწავლა ასაკობრივი შეზღუდვების გარეშეა.

კოლეჯი ბარაკონი
BARAKONI COLLEGE
SINCE 1992 წლიდან

თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას
(ყოფილი ჯიქიას ქ.) #4 სართული IV

599504052 ; 551278803

info@barakoni.edu.ge

barakoni.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- საექთნო საქმე
- ფარმაცია
- ინფორმაციის ტექნოლოგია

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია – SBA

ინფორმაცია აკადემიის შესახებ

საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA განვითარებაზე ორიენტირებული დაწესებულებაა, რომელიც ზრუნავს სამეწარმეო პროფესიულ განათლებაზე და, იმავდროულად, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი პროფესიონალების უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, რისთვისაც უზრუნველყოფს სიცოცხლის განმავლობაში განათლების ფორმალური და არაფორმალური გზით მიღების შესაძლებლობას.

ხარისხი, ხელმისაწვდომობა, თავისუფლება, პასუხისმგებლობა - ეს ის მთავარი ღირებულებებია, რომელსაც აკადემია ეყრდნობა 2020-2027 სასწავლო წლების სტრატეგიის განხორციელებისას, საკუთარი მისიიდან გამომდინარე.

აკადემიის სტუდენტური ცხოვრება მრავალფეროვანია. სტუდენტები სპორტული, კულტურული, სამეცნიერო-შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზებით არიან დაკავებულნი; შეუძლიათ თავად მოახდინონ აქტივობებისა და ღონისძიებების დაგეგმვა და ინიცირება.

აკადემია, დაარსებიდან დღემდე, ისწრაფვის განვითარებისა და პროფესიული წინსვლისაკენ; სტუდენტებსა და მასწავლებლებს სთავაზობს არა მარტო მომხიბვლელ აკადემიურ გარემოს, არამედ, სასწავლო პროცესის პარალელურად, კულტურულ, გასართობ და ინტელექტუალურ ღონისძიებებსაც.

საქართველოს ბიზნესის აკადემიას - SBA ჰყავს არაერთი საერთაშორისო პარტნიორი და ახორციელებს გაცვლით პროგრამებს.

აკადემია, პროფესიულ პროგრამებთან ერთად, წარმატებით ახორციელებს შრომის ბაზარზე მოთხოვნად მომზადება/გადამზადების მოკლევადიან პროგრამებს.

აკადემია, მისი ფუნქციონირების განმავლობაში, არაერთი საერთაშორისო პროექტის გამარჯვებული და ეროვნული ჯილდოს მფლობელია.

SBA საქართველოს ბიზნესის აკადემია
BUSINESS ACADEMY OF GEORGIA

ქ. თბილისი,
რუსთავის გზატკეცილი 18/22

032 2 40 34 40; 032 2 40 33 40
995 599 975 772; 995 544 447 166

info@sba.edu.ge

www. sba.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- სკოლამდელი განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- საბაჟო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ინფორმაციის ტექნოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა
- ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
- ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
- კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ფინანსების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა, პროფესიული მომზადების პროგრამა
- სალაროს ოპერაციების განხორციელება, პროფესიული მომზადების პროგრამა
- საბაჟო დეკლარირება, პროფესიული მომზადების პროგრამა
- საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების ორგანიზება, პროფესიული მომზადების პროგრამა
- საწყობის ლოგისტიკა, პროფესიული მომზადების პროგრამა
- სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში (SPA) მუშაობა, პროფესიული მომზადების პროგრამა
- გერიატრიული ასისტენტი, პროფესიული მომზადების პროგრამა
- პარაფარმაციის კონსულტანტი, პროფესიული მომზადების პროგრამა
- საალმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, პროფესიული გადამზადების პროგრამა
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა, პროფესიული გადამზადების პროგრამა
- ფარმაცევტული ზრუნვა (კონსულტირება), პროფესიული გადამზადების პროგრამა

ბიზნესპარტნიორებთან თანამშრომლობით განხორციელებული პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები:

- მარკეტინგისა და გაყიდვების სპეციალისტი - მარკეტერი, პროფესიული გადამზადების პროგრამა
- დისტრიბუცია სავაჭრო ობიექტებში, პროფესიული მომზადების პროგრამა

დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

,,დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი“, სამედიცინო კორპორაცია „ევექსის“ და ,,დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის“ მხარდაჭერითა და ხელშეწყობით, დაფუძნდა 2015 წელს. ხოლო 2016 წელს დაიწყო საგანმანათლებლო საქმიანობა. კოლეჯი მიზნად ისახავს საქართველოში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას, ქვეყანაში არსებული საკადრო და ხარისხობრივი დეფიციტის შევსებაში საკუთარი წვლილის შეტანას, პროფესიული განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას, სახელმწიფოს სათანადო სტრუქტურებთან თანამშრომლობით, პროფესიული განათლებისა და უმაღლესი განათლების დაკავშირების შესაძლებლობების გაჩენას, ზრუნვას პროგრამის შინაარსობრივ განვითარებაზე, პრაქტიკის, სიახლეების, თანამედროვე სამედიცინო მიღწევების გათვალისწინებითა და ადაპტაციის სურვილით.

დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი ახორციელებს მხოლოდ ერთ საგანმანათლებლო პროგრამას - ,,საექთნო განათლება“; მისი მონოპროფილურობა შეფასებულია დაწესებულების დადებით მხარედ და უზრუნველყოფს მთელი ინტელექტუალური, ადმინისტრაციული თუ მატერიალური რესურსების პროფესიული განათლებისა და უშუალოდ საექთნო სფეროს პოპულარიზაციასა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებებისადმი მიმართვას.

დაწესებულებას ჰყავს ადგილობრივი და უცხოელი პარტნიორები. პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ საშუალება, გაემგზავრონ ლიეტუვას ქალაქ კლაიპედას და გერმანიის ქალაქ პირმეზანსის საუნივერსიტეტო კლინიკებში ე.წ. „ობზერვერ“ სტატუსით, გაეცნონ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კლინიკების პრაქტიკას, საექთნო სფეროს წარმატებებსა და მათ წინაშე მდგარ გამოწვევებს, შეხვდნენ მსგავსი პროგრამის სტუდენტებს, კოლეგა ექთნებს, რაც საბოლოოდ პროფესიულ სტუდენტებს საშუალებას აძლევთ კრიტიკულად და ობიექტურად შეაფასონ დარგის საჭიროებები, საკუთარი შესაძლებლობები და პროფესიაში შევიდნენ კონკრეტული მიზნით. სწორედ ამგვარი შესაძლებლობების გამოყენება, სათანადო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა განაპირობებს დაწესებულების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალ მაჩვენებელსაც.

თბილისი, ლუბლიანას 2/6

(+995 322) 51 68 98;
(+995 322) 52 71 96

info@dtmu.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- საეკთნო საქმე

„საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

პროფესიული კოლეჯი ,,საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“ დაარსდა 2009 წელს და ახორციელებს „გემბანის რიგითი მეზღვაურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას“ და „სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას“.
2010 წლიდან დაწესებულებაში დანერგილია ხარისხის მართვის სისტემა საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001-2015 შესაბამისად.

საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი წარმოადგენს საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების სფეროს და ახორციელებს მოქმედი მეზღვაურების გადამზადებასა და სერტიფიცირებას.

პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, მუდმივად ხდება დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობის რეგულარული შემოწმება საერთაშორისო ნორმებთან მიმართებაში. შემოწმებაში ჩართულია საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო და, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციები. 2022 წლის მაისში დაწესებულებამ მეორედ, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა და საზღვაო ინდუსტრიის სხვა დაწესებულებებთან ერთად, გაიარა ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს აუდიტი საერთაშორისო კონვენციის - STCW მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

,,სსსც ეკვატორში“ ასწავლიან საზღვაო დარგის გამოცდილი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, კაპიტნები და უფროსი მექანიკოსები, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ სწავლების პროცესი აკმაყოფილებდეს თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს.

საზღვაო ცენტრის მისიაა - საზოგადოებას შესთავაზოს მრავალწლიან გამოცდილებაზე დაფუძნებული და თანამედროვე სასწავლო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე განხორციელებული საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების სფეროს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი და პროფესიული პროგრამები, რომლებიც მოამზადებს შრომის შიდა და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციების მქონე კონკურენტუნარიან მეზღვაურებს. ცენტრის ხედვაა - შეინარჩუნოს და გააუმჯობესოს ცენტრის, როგორც საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების სფეროში ერთ–ერთი წარმატებული და კონკურენტუნარიანი დაწესებულების, რეპუტაცია.

„სსსც ეკვატორის“ გამოცდილებას განსაზღვრავს ღირებულებები, რომლებიც ეფუძნება გუნდური მუშაობის, ეთიკური და პასუხისმგებლობით სავსე ქცევის, განვითარებისკენ მუდმივი სწრაფვისა და პროფესიონალიზმის, საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების დარგისადმი ერთგულების პრინციპებს. მისიის უზრუნველსაყოფად დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან, პროფესიულ სტუდენტებთან, მსმენელებთან, პერსონალთან, დამსაქმებელ საკრუინგო კომპანიებთან.

ქ. ბათუმი, შავშეთის ქ. #33

(+995) 422 224343
(+995) 579 264 343

info@equator.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- სამანქანო განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია წარმოადგენს ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს როგორც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს სამუშაოზე დაფუძნებული ფორმით, ასევე მოკლევადიან მომზადებისა და გადამზადების პროგრამებს. კოლეჯი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციით, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტებით, კოლეჯის შინაგანაწესით და წესდებით. კოლეჯი ზუგდიდის აკადემია დაფუძნდა 2016 წლის 5 დეკემბერს და 2017 წელს გაიარა ავტორიზაცია. კოლეჯი თავის ფუნქციონირებას ახორციელებს ზუგდიდში - შ. კიტიას ქ. #9. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია მრავალპროფილური საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც დაინტერესებულ პირებს სთავაზობს სასიამოვნო საგანმანათლებლო გარემოს, სადაც მოლოდინი ყოველთვის მართლდება.

ჩვენი კურსდამთავრებულები წარმატებით საქმდებიან როგორც ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ისე მთელ საქართველოში. კოლეჯი მუდმივად იკვლევს შრომის ბაზარს, ამყარებს საქმიან ურთიერთობებს პოტენციურ დამსაქმებლებთან, ინტენსიურად ახორციელებს აპლიკანტების, პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელების გამოკითხვას, რაც ქმნის ნათელ სურათს დაინტერესებული პირების წარმოდგენაზე თანამედროვე სწავლებისა და სწავლის, მოთხოვნადი პროფესიების, გამართული საგანმანათლებლო სერვისების, სწავლის ხარისხთან დაკავშირებული სხვადასხვა კომპონენტის მდგრადობის შესახებ.

ვფიქრობთ, რომ კოლეჯს ღირსეული ადგილი უჭირავს საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში, რომელიც ორიენტირებულია განვითარებაზე და მუდმივად ცდილობს საგანმანათლებლო პროცესების განახლებას, სტუდენტური სერვისების გაუმჯობესებას და ინფრასტრუქტურის სრულყოფას. სწორედ ამ ძირითადი კომპონენტების ინტეგრაცია უდევს საფუძვლად კოლეჯის საქმიანობას. ამჟამად კოლეჯი წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც მუდმივ სინქრონიზაციაშია ავტორიზა ციის სტანდარტების მოთხოვნებთან - განსახორციელებელი პროგრამების შესაბამისადაა მოწყობილი სასწავლო გარემო, ბიბლიოთეკა და უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები.

ქ. ზუგდიდი შ. კიტიას ქ. #9

+995 577 778 516

info@zugdidiacademy.edu.ge ;
zugdidisakademia@gmail.com

http://akademiazug.ge/

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- აღმზრდელი
- ბუღალტრული აღრიცხვა

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა
- ადრეული განვითარების სპეციალისტი
- ჯანმრთელობა, ჰიგიენა და უსაფრთხოება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში
- ფინანსური ანგარიშგება, დეკლარირება

შპს „თეგეტა აკადემია“

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

შპს „თეგეტა აკადემია“ არის ავტორიზებული პროფესიული კოლეჯი და მულტიფუნქციური ტრენინგცენტრი. პროფესიული კოლეჯი დაარსდა 2018 წელს, ხოლო 2019 წელს აკადემიამ მოიპოვა ავტორიზაცია - მიენიჭა უფლებამოსილება, განეხორციელებინა შემდეგი სამი პროგრამა: მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება, მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება, მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება. “თეგეტა აკადემიამ” საავტომობილო სფეროში პირველმა დაიწყო სატრანსპორტო მიმართულების პროფესიული პროგრამის დუალური ფორმით განხორციელება; მისი კურსდამთავრებულები პარტნიორ კომპანიაში დასაქმდნენ და დღესაც წარმატებით განაგრძობენ მუშაობას. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულები არიან მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები, პარტნიორი კომპანიის გამოცდილი და საუკეთესო ინსტრუქტორები. თეორიული სწავლის პროცესში მიღებული ცოდნით სტუდენტები, ინსტრუქტორების დახმარებით, უშუალოდ საწარმოში ახორციელებენ სამუშაოს და იღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას.

„თეგეტა აკადემიის“ მისიაა საავტომობილო მიმართულებით კვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადება, შესაბამისად, იგი იძლევა პროფესიული განათლების მიღებისა და პროფესიული ზრდის უნიკალურ შესაძლებლობებს. აკადემიის უპირატესობა, კვალიფიციურ კადრებთან ერთად, არის სწავლების თანამედროვე, ინოვაციური მეთოდები, სტუდენტზე მორგებული, კომფორტული სასწავლო გარემო, პრაქტიკული სივრცეები ყველა საჭირო აღჭურვილობით. ამასთან, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების საზოგადოებაში ინტეგრაციისა და განათლების მისაღებად, აკადემიის შენობის გარე და შიდა სივრცეებში შექმნილია შესაბამისი პირობები.

აკადემია მიღებას აცხადებს საავტომობილო ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებზე, რაც სამომავლოდ ზრდის დასაქმების პერსპექტივას. კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ეძლევათ, სწავლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, დასაქმდნენ კომპანიაში. მათ აქვთ წვდომა იმ ვაკანსიებზე, რომლებიც ცხადდება თეგეტა მოტორსის მიერ შვილობილი კომპანიების მასშტაბით, რაც თავისთავად მეტყველებს მათი კარიერული დინამიკის შესაძლებლობაზე როგორც კომპანიაში, ასევე მის გარეთ.

კომპანია თეგეტა მოტორსი, ლიდერი კომპანიაა საავტომობილო სფეროში, შესაბამისად, მისი შვილობილი კომპანიებიც ორიენტირებული არიან საუკეთესო კადრების გაზრდაზე, რასაც თეგეტა აკადემია წარმატებით ახორციელებს, ვინაიდან მუდმივად ზრუნავს სტუდენტთა პროფესიონალიზმზე, განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე.

TEGETA ACADEMY
თეგეტა აკადემია

ქ. თბილისი,
დ. აღმაშენებლის ხეივანი N129

(+995) 322 26 44 46

info@tegetaacademy.ge

https://tegetaacademy.edu.ge/

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება

შპს ინტერბიზნესის აკადემია

ინფორმაცია აკადემიის შესახებ

შპს ინტერბიზნესის აკადემია დაფუძნდა 1992 წელს, როგორც მრავალპროფილური სამედიცინო სასწავლებელი. 1995 წელს დაიწყო თანამშრომლობა იერუსალიმის უნივერსიტეტთან არსებულ ასაფ ჰაროფეს სამედიცინო ცენტრის საფერშლო სკოლასთან, 1997 წელს კი - გერმანიის ქ. ჰანოვერის ყბა-სახის სამკურნალო სამედიცინო უმაღლეს სკოლასთან.

1997 წელს გაიხსნა შპს ინტერბიზნესის აკადემიის საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა. 2003 წელს მას მიენიჭა საქართველო-ისრაელის თვალსაჩინო მწერლის, ლიტერატორისა და მთარგმნელის, თამარ მამისთვალოვ-კეზერაშვილის სახელი და წარჩინებული სტუდენტებისათვის დაარსდა მისივე სახელობის სავალუტო სტიპენდია.

2005 წელს უმაღლეს სასწავლებელს მიენიჭა ინსტიტუციური აკრედიტაცია. 2011 წელს აკადემიამ დაიწყო თანამშრომლობა არიელის (ისრაელი) უნივერსიტეტთან. 2012 წელს შპს ინტერბიზნესის აკადემიას 5 წლის ვადით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი). 2013 წელს შპს ინტერბიზნესის აკადემია საქართველოს კერძო კოლეჯების ასიციაციის დამფუძნებელი პარტნიორია. 2013 წელს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება არიელის უნივერსიტეტსა (ისრაელი) და შპს ინტერბიზნესის აკადემიას შორის, ერთობლივი საბაკალავრო პროგრამების - "ბიზნესის ადმინისტრირება" და "ინფორმატიკა" - განხორციელებია თაობაზე. 2014 წელს, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 20 ნოემბრის N28 გადაწყვეტილებით, აკადემიას მიენიჭა უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სტატუსი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. 2015 წლიდან "სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში, აკადემია ახორციელებს მოკლევადიან მომზადების პროგრამებს. 2016 და 2017 წლებში კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ აკადემიას მიენიჭა ბრენდირების 5 ვარსკვლავი. 2016 წელს მიენიჭა საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური სამსახურის სააგენტოს საუკეთესო პარტნიორის ტიტული "განსაკუთრებული თანამშრომლობის და დასაქმების ხელშეწყობისათვის გაწეული ღვაწლისათვის, სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის განხორციელების ხელშეწყობისათვის". 2018 წელს მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი).

აკადემია მუდმივად ზრუნავს სწავლების ხარისხზე და, დამსაქმებელ-პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ორიენტირებულია კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე. დასაქმების მაჩვენებლებით ინტერბიზნესის აკადემია ერთ-ერთი ლიდერი საგანმანათლებლო დაწესებულებაა.

ქ. თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ.N7

261 54 23; 551 605 423

info@interbusiness.edu.ge

www.interbusiness.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- ფარმაცია (სააფთიაქო)
- საექთნო საქმე
- სკოლამდელი აღზრდა
- ბუღალტრული აღრიცხვა
- საფინანსო სერვისები
- ვებტექნოლოგიები
- ინფორმაციის ტექნოლოგია

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- გერიატრიული ასისტენტი
- ძიძა
- სალარო ოპერაციების განხორციელება
- ელექტრონული ბუღალტერია
- კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი''

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

კოლეჯი „კავკასიონი“ დაფუძნდა 2012 წელს; ბოლო ავტორიზაცია გაიარა 2017 წელს. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ქალაქში - თბილისსა და ქუთაისში. კოლეჯში ამჟამად ხუთ სადიპლომო და სამ მომზადება/გადამზადების სასერტიფიკატო პროგრამაზე 800-მდე სტუდენტი ირიცხება და მათ განათლებას ემსახურება 100-მდე პროფესიული მასწავლებელი. კოლეჯში ოთხ პროგრამაზე სწავლა ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, არის თვითდაფინანსებადი პროგრამებიც.

კოლეჯში სასწავლო პროცესის დაგეგმვა/მიმდინარეობა, მოწვეული მასწავლებლების კვალიფიკაცია, კოლეჯის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სხვადასხვა დარგის პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის მაღალი პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობას. კოლეჯში ხშირად ტარდება სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიება, ექსკურსიები და სხვა. კოლეჯი მუდმივად ზრუნავს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმებაზე; მათ მუდმივად მიეწოდებათ სხვადასხვა საინტერესო შეთავაზება განვითარებისა და დასაქმების შესახებ.

ქ. თბილისი. დავით ბაქრაძის #6
ქ. ქუთაისი, ოცხელის ქუჩა #2

(032) 243 31; (0431) 222 41 31

info@kavkasioni.edu.ge

https://kavkasioni.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- საფინანსო სერვისები
- ბუღალტრული აღრიცხვა
- ინფორმაციის ტექნოლოგია
- საექთნო საქმე
- ფარმაცია (სააფთიაქო)
- სკოლამდელი აღზრდა

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- გერიატრიული ასისტენტი
- კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა
- სალაროს ოპერაციების განხორციელება
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა

შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

ჩვენს კოლეჯში შექმნილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით უზრუნველყოფილი სასწავლო გარემო; მუშაობს პროფესიულ სტუდენტთა განვითარებაზე ორიენტირებული ადმინისტრაციული პერსონალი, პროფესიონალი, საქართველოში აღიარებული დარგის სპეციალისტები/პროგრამის განმახორციელებელი პირები, ასევე, პრაქტიკის ობიექტები და პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან როგორც საუკეთესო საგანმანათლებლო გარემოს შექმნაზე, ისე კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე.

ჩვენი კოლეჯის პარტნიორები არიან: სს. გუდვილი; სს. თიბისი; ლიბერთი ბანკი; სს. კრედო-ბანკი; შპს ,,პსპ ფარმა“; სს. „გეფა“; შპს „იმპექსფარმი“; შპს ,,პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“; შპს ,,დავით გაგუას კლინიკა“; კლინიკა „ნიუ ჰოსპიტალსი“; შპს ,,წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო”; კლინიკა შპს ,,ვივამედი“; ა(ა)იპ ,,საქართველოს საპატრიარქოს ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრი“; ა(ა)იპ ,,საქართველოს კარიტასი“; შპს ,,#5 კლინიკური საავადმყოფო“; აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა; ბაგა-ბაღი შპს ,,ნევერლენდი“; ბაგა-ბაღი შპს „ერუდიტები“; თბილისის N 45 საბავშვო ბაგა-ბაღი.

ჩვენი მიზანია, პროფესიულმა სტუდენტებმა გამოიმუშაონ თეორიული და პრაქტიკული უნარები, რითაც შეძლებენ კონკურენციას შრომის ბაზარზე.

კოლეჯში დიდი ყურადღება ექცევა არა მხოლოდ სასწავლო პროცესს, არამედ სტუდენტების ექსტრაკურიკულურ აქტივობებსაც.

კოლეჯი აქტიურად უწყობს ხელს კურსდამთავრებულთა დასაქმებას. ყოველწლიური კვლევებით, ჩვენი კურსდამთავრებულების 92-95% დასაქმებულია, აქედან 85-87% დასაქმებულია სპეციალობით.

წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. 47/49,
ბოქორმის ქ. #8

599 952 828; 577 909 033

collegeimedi@gmail.com
info@imediprof.edu.ge
library@imediprof.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- ფარმაცია (სააფთიაქო)
- საექთნო საქმე
- ალმზრდელი
- საფინანსო სერვისები
- ინფორმაციის ტექნოლოგია

შპს მარნეულის კოლეჯი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

მარნეულის კოლეჯი 1992 წელს დაარსდა საქართველოს ექიმთა ასოციაციის ინიციატივითა და ხელშეწყობით. დაარსების დღიდან კოლეჯი საქმიანობს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ რეჟიმში და ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას ქვეყნის ერთ-ერთ მრავალეთნიკურ რეგიონში - ქალაქ მარნეულში. კოლეჯი მუდმივად ცდილობს, ფეხი აუწყოს თანამედროვეობის მოთხოვნებს, შესთავაზოს დაინტერესებულ პირებს ისეთი პირობები გა გარემო, რომელშიც ყველა შეძლებს საკუთარი ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობების გამოვლენას. ჩვენი დახმარებით თქვენ შეძლებთ: მიიღოთ კვალიფიციური პროფესიული განათლება, ჩაერთოთ ქვეყნისათვის და რეგიონისათვის მნიშვნელოვან პროექტებში, გააძლიეროთ
სუსტი და გაამყაროთ თქვენი ძლიერი მხარეები.

ჩვენი კოლეჯის მუშაობა გუნდურობის პრინციპზეა დამყარებული, ამიტომაც, ყოველ შეკითხვას, გადაწყვეტილებას თუ პრობლემას კოლეჯის გუნდი ერთობლივად ამუშავებს და გადაჭრის. ჩვენთვის მნიშვნელოვანია თითოეული სტუდენტისა და მსმენელის აზრი, ხედვა. ვცდილობთ, ყველა იმ ახალგაზრდას, რომელიც ჩვენს კოლეჯში დაფრთიანდება, მივცეთ მაქსიმალური შესაძლებლობა, მოახმაროს აქ მიღებული ცოდნა და უნარები ქალაქს, რეგიონს, ქვეყანას.

მარნეულის კოლეჯი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა პროექტში;
თანამშრომლობს ბევრ სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციასთან. 2016 წლიდან დღემდე, ყოველ შემოდგომაზე კოლეჯი ჩართულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებულ „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამაში“, რომლის ფარგლებშიც კოლეჯმა მოიპოვა უფლება და ახორციელებს სხვადასხვა მოკლევადიან სასწავლო კურსს - მსურველი პირები გადამზადდებიან სხვადასხვა პროფესიაში, რაც რეალურად უწყობს ხელს მათ დასაქმებას.

კოლეჯი ჩართულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ „პროფესიული განათლების ხელშწყობის პროგრამის“ „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის“ განხორციელებაში.

ასევე, კოლეჯი თანამშრომლობს მარნეულის მუნიციპალიტეტთან და აქტიურ მონაწილეობას იღებს სოციალურ აქტივობებში.

ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. #80

595 302 390; 599507188

marneulicollege@gmail.com
info.marneulicollege@gmail.com

www.mc.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- საექთნო განათლება
- ფარმაცია (სააფთიაქო)
- სკოლამდელი აღზრდა
- საფინანსო სერვისები
- ინფორმაციის ტექნოლოგია

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა
- სალაროს ოპერაციების განხორციელება
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობა
- გერიატრიული ასისტენტი
- ჰიგიენა და ჯანმრთელობა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში
- სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

შპს მარნეულის საზოგადოებრივმა კოლეჯმა ავტორიზაცია გაიარა 2019 წელს და მოიპოვა უფლება, განახორციელოს ოთხი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: საექთნო განათლება, აღმზრდელი (სკოლამდელი აღზრდა), ინფორმაციის ტექნოლოგია, საფინანსო სერვისები. დღეისათვის კოლეჯი ერთ-ერთი წარმატებული სასწავლო დაწესებულებაა ქვემო ქართლის რეგიონში, ამიტომაც დიდია აქ სწავლის მსურველთა რაოდენობა. კოლეჯი აღჭურვილია სასწავლო პროცესისათვის საჭირო თანამედროვე ინვენტარით. პროფესიული სტუდენტები პრაქტიკას გადიან რეგიონში არსებულ კლინიკებში, ბაგა-ბაღებში, სავაჭრო ცენტრებში, ბანკებში. სამომავლოდ, კოლეჯში იგეგმება შრომის ბაზარზე მოთხოვნადი ახალი პროფესიული და მომზადება-გადამზადების პროგრამების დამატება.

კოლეჯის მისიაა განახორციელოს ქვემო ქართლის რეგიონში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, შრომის ბაზარზე ორიენტირებული სხვადასხვა პროფილის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ხელმისაწვდომი გახადოს პროფესიული განათლება ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, ხელი შეუწყოს მოქალაქეთა მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისა და დასაქმების შესაძლებლობას და იზრუნოს რეგიონის მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაციისთვის.

ქ. მარნეული,
შოთა რუსთაველის ქ. #13ბ

555 13 92 03

collejimsc@gmail.com

http://msc.edu.ge/

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- საექთნო განათლება
- აღმზრდელი (სკოლამდელი აღზრდა)
- ინფორმაციის ტექნოლოგია
- საფინანსო სერვისები

შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

მარნეულის სამედიცინო კოლეჯი არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ქვემო ქართლის რეგიონში ახორციელებს მოთხოვნად საგანმანათლებლო პროგრამებს.
რეგიონის საჭიროებიდან გამომდინარე, კოლეჯი ყველა მსურველს სრულიად უფასოდ სთავაზობს ქართული ენის სასერტიფიკატო კურსს.

კოლეჯის პრაქტიკის და დასაქმების ობიექტებია რეგიონში წარმოდგენილი ყველაზე მსხვილი ორგანიზაციები, როგორებიცაა თიბისი ბანკი, ჯეო ჰოსპიტალსი, ავერსი, გორგია, ნოვა, მარნეულის, ბოლნისის და თეთრიწყაროს ბაგა-ბაღების გაერთიანებები და სხვა.

ჩვენ მუდმივად ვზრუნავთ ჩვენი პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერულ წინსვლაზე, მათ სოციალიზაციაზე.

კოლეჯის მისიაა:

- განახორციელოს საქართველოს სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო პროფილის საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე, დასაქმების ბაზარზე მოთხოვნადი სხვადასხვა მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები, რითაც ხელს შეუწყობს ქვეყანასა და ქვემო ქართლის რეგიონში კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასა და დასაქმებას;
- იზრუნოს პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე და ხელი შეუწყოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას;
- მოამზადოს მაღალკვალიფიციური, ლიბერალური ღირებულებების საზოგადოების აქტიური წევრები, განუვითაროს მათ პროფესიული უნარები და უზრუნველყოს მათი კონკურენტუნარიანობა დასაქმების ბაზარზე.

ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა #80

500 507750; 032 2 831921

mscollege.edu@gmail.com

www.mscollege.ge
https://www.facebook.com/profile.php?id=100090243344786

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- საექთნო განათლება
- ფარმაცია (სააფთიაქო)
- ალმზრდელი
- ინფორმაციის ტექნოლოგია
- საფინანსო სერვისები

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- შინმოვლის სპეციალისტი

შპს კოლეჯი მესამე სამედიცინო

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

ჩვენს კოლეჯს არსებობის მრავალწლიანი ისტორია აქვს. თავდაპირველად, 1937 წელს თბილისში გაიხსნა საფერშლო სკოლა, როგორც საჯარო დაწესებულება. წლების განმავლობაში დაწესებულებამ რამდენჯერმე შეიცვალა სახელწოდება და ბოლოს დამკვიდრდა შპს ,,კოლეჯი მესამე სამედიცინოს“ სახით. კოლეჯმა წლების განმავლობაში მრავალი სპეციალისტი აღზარდა. დაწესებულება სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით.

ჩვენი კურსდამთავრებულები მუშაობენ საქართველოს თითქმის ყველა სამედიცინო დაწესებულებაში წამყვანი მედპერსონალის პოზიციებზე. დაწესებულებაში მიღებული კვალიფიკაცია და გაცემული დიპლომი საკმარისია კურსდამთავრებულთა საზღვარგარეთის ქვეყნებში სპეციალობის მიხედვით დასაქმებისათვის.

ქ. თბილისი.
აკაკი წერეთლის გამზ. #142

2 34 22 016; 598 113 007

medicalschool3@gmail.com

www.medicalschool-3.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- ფარმაცია (სააფთიაქო)

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი NATALI ACADEMY

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

Natali Academy გახლავთ სახელმწიფოს მიერ აღიარებული ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც უკვე 15 წელია (დაარსდა 2008 წელს) წარმატებით მოღვაწეობს ბაზარზე და ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას.

აკადემიის მისიაა, მოამზადოს სილამაზის ინდუსტრიის საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალი ხარისხის მომსახურების/სერვისების შეთავაზებას.

აკადემიის ხედვაა, იყოს წამყვანი ადგილობრივ ბაზარზე, შექმნას ერთიანი საგანმანათლებლო და საწარმოო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს პირის პროფესიულ და ინდივიდუალურ განვითარებას, შესთავაზებს მომხმარებელსა და სპეციალისტებს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურებას სწავლების ყველა ეტაპზე და ხელმისაწვდომს გახდის სილამაზის მომსახურებას საზოგადოების ყველა ფენისათვის.

Natali Academy ამ ეტაპზე ერთადერთი სასწავლებელია, რომელიც სილამაზის ინდუსტრიის ყველა მიმართულებით ახორციელებს პროგრამებს; დაინტერესებულ პირებს სთავაზობს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს და განსხვავებულ პროგრამებს, როგორც გრძელვადიან საერთაშორისო სადიპლომო, ისე მოკლევადიან სასერტიფიკატო კურსებს, რომელთა შესასწავლად შესაძლებელია როგორც 100%-იანი, ასევე 70%-იანი სახელმწიფო თანადაფინანსების მიღება.

აკადემია თანამედროვე სტანდარტებზე მოწყობილ კომფორტულ გარემოს სთავაზობს ყველას, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს.

პროგრამა მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს. პრაქტიკა ხორციელდება აკადემიის დარგობრივ კაბინეტებში დარგის წამყვანი სპეციალისტების მიერ.

სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გადიან აკადემიის სტუდია-სალონსა და ნატალი ჯგუფის სილამაზის ცენტრებში. კონკურენტებთან მიმართებაში, აკადემიის უპირატესობას წარმოადგენს ასევე, საკუთარი სასწავლო სტუდია-სალონის არსებობა, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით; სახარჯი მასალებით უზრუნველყოფას ახორციელებს ,,Natali Distribution“. ყოველივე ეს განაპირობებს აკადემიის საგანმანათლებლო სერვისებით მოსარგებლეების ხარისხიან სასწავლო-პროფესიულ პრაქტიკას.
სტუდენტები, ასევე, მონაწილეობენ სხვადასხვა პარტნიორი კომპანიის გადაღებებსა და პროექტებში. დაარსებიდან დღემდე, აკადემიის კურსდამთავრებულები ითვლებიან ყველაზე ძლიერ და მოთხოვნად კადრებად როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. ისინი ადვილად საქმდებიან პრესტიჟულ სალონებში, კლინიკებსა თუ ბრენდირებულ სასტუმროებში, სადაც იქმნიან წარმატებულ პროფესიულ კარიერას.
აკადემიის პარტნიორები არიან საერთაშორისო კომპანიები. აკადემია მუდმივად ახორციელებს დარგის სპეციალისტების გადამზადებას. ამასთან ერთად, ატარებს სხვადასხვა სახის სემინარებს პროფესიული სტუდენტებისათვის. სასწავლო პროცესში სტუდენტები მუშაობენ პრემიუმ ბრენდების პროდუქციით.
ნატალი ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობს აკადემიასთან დასაქმების კუთხით და კურსდამთავრებულებს სთავაზობს 3-თვიან სტაჟირებას ნატალი ჯგუფის სილამაზის ცენტრებში.

NATALI ACADEMY
NATALI GROUP

ქ. თბილისი.
ვაჟა-ფშაველას გამზ. #71
577 507 023; 0322 142 020
info@nataliacademy.ge
www.nataliacademy.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- ვიზაჟისტი
- სტილისტი
- ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი
- კანის მოვლა და სპა პროცედურები

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- კანის ესთეტიკური დერმოპიგმენტაცია
- ვიზაჟისტი - Make up artist
- მანიკური - პედიკური
- ფრჩხილის დაგრძელება
- სტილისტი
- კოლორისტიკა
- ესთეტიკური კოსმეტოლოგია - სახის კანის მოვლა
- სპა თერაპისტი
- წამწამების კორექცია
- წარბის კორექცია

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას პროფესიული განათლების სფეროში საქმიანობის 140 წელი შეუსრულდა. მისი ისტორია სათავეს იღებს მე-19 საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან - „ოლღას საბებიო სკოლიდან“ (1875-1878 წლები), რომელიც მე-20 საუკუნის ორმოციან წლებში გადაკეთდა „მეორე სამედიცინო სასწავლებლად“, 2011 წელს კი მიიღო საბოლოო სახე და ეწოდა - საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა.

კოლეჯი პანაცეა თითქმის საუკუნეზე მეტია ახორციელებს ჯანდაცვის მიმართულების პროგრამებს, თუმცა ბოლო ორი წელია ჩვენ საზოგადოებას შევთავაზეთ პრიორიტეტული და მოთხოვნადი მოკლევადიანი პროგრამები როგორც პროფესიული საგანმანათლებლო, ასევე პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების.
საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას მამოძრავებელი მოტივი არის - სწავლება მაღალი ხარისხით, რეალური დასაქმებისთვის.

საშუალოდ, კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი არის 85 %.
პარტნიორული ხელშეკრულებები გაფორმებულია დარგის 30-ზე მეტ ბიზნესკომპანიასთან.
კოლეჯ პანაცეას წლების განმავლობაში ჩამოუყალიბდა სტაბილური, სანდო, კვალიფიციური პარტნიორის რეპუტაცია.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორობით შეიქმნა ოთხი პროფესიული საგანმანათლებლო რესურსი ჯანდაცვის მიმართულებით.
პანაცეა არის საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის (სკკა) დამფუძნებელი და გამგეობის წევრი 2013 წლიდან.

2014 წლიდან ის აქტიურად თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნების კოლეჯებთან - დაუგავპილის სამედიცინო კოლეჯთან (ლატვია), ტალინის სახელმწიფო სამედიცინო კოლეჯთან (ესტონეთი).
სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ჩატარებულ 2018 წლის შემაჯამებელ კონფერენციაზე საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა დაჯილდოვდა წლის საუკეთესო პარტნიორის ტიტულით.
კოლეჯში არის მეგობრული, კომფორტული გარემო და ადამიანთა გუნდი, რომელიც ზრუნავს, რომ სტუდენტი სრულფასოვნად დაეუფლოს მის მიერ არჩეულ პროფესიას, აიმაღლოს პიროვნული და სამოქალაქო ცნობიერება.

სწავლასთან ერთად, კოლეჯი სტუდენტს სთავაზობს საინტერესო სტუდენტურ ცხოვრებას. სტუდენტური წლები სავსე იქნება სხვადასხვა საინტერესო კულტურული, შემოქმედებითი, სპორტული ღონისძიებით.
კოლეჯ პანაცეას პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციებში სტუდენტი შეიძენს იმ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რომლებიც ხელს შეუწყობს დასაქმებაში.

ქ. თბილისი, თ. ერისთავის ქ. #2

995 322 660 402; 995 322 345 863;
599 17 20 88

panacea.2008@yahoo.com
info@panacea.edu.ge

www.panacea.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამების დასახელება	პროფესიული განათლების დონე
• საექთნო საქმე	მეხუთე
• ფარმაცია (სააფთიაქო)	მეხუთე
• აღმზრდელი (სკოლამდელი განათლება)	მეხუთე
• ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა	მესამე
• კბილის სატექნიკო საქმე	მეოთხე
• სასტუმრო მომსახურება	მეოთხე
• სამკერვალო წარმოება	მესამე

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა
- გერიატრიული ასისტენტი
- კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა
- ვიდეოოპერატორი
- სასტუმროს მიღება-განთავსების სპეციალისტი
- ქალის უსარჩულო ქვედა კაბის და კაბის ინდივიდუალური მკერავ-კონსტრუქტორი
- ქალის მსუბუქი ტანსაცმლის მკერავ-ტექნოლოგი
- ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება-მოდელირება

შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი“

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

შპს “თბილისის პირველ სამედიცინო სასწავლებელს” ჯანდაცვის სფეროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებით განხორციელების მრავალწლოვანი ისტორია აქვს. მიმდინარე წელს თბილისის პირველ სამედიცინო სასწავლებელს 105 წელი შეუსრულდა. საუკუნის განმავლობაში სასწავლებელში აღიზარდა სამედიცინო დარგის მრავალი წარმატებული სპეციალისტი, რომლებიც ემსახურებიან ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

დღემდე სასწავლებელი ინარჩუნებს სამედიცინო სასწავლო დაწესებულების პროფილს და თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და სახელმწიფოს პრიორიტეტების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისათვის მედიცინის დარგში, ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს: „ფარმაცია (სააფთიაქო)“ და „საექთნო განათლება“. ამისათვის სასწავლებელი უზრუნველყოფილია როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ასევე სრულფასოვანი სასწავლო და ადამიანური რესურსით. გამოცდილი პროფესიული განათლების მასწავლებლები ზრუნავენ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლებლის რეგულაციებით განსაზღვრული სერვისების მიწოდებაზე; იმავდროულად, პრაქტიკული კომპონენტისთვის გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებიც იძლევა არა მარტო სრულფასოვანი პრაქტიკული სწავლების, არამედ დასაქმების შესაძლებლობასაც.

ქ. თბილისი, სპირიდონ კედიას #7

598 980 003; 995 322 340 090

info@medicalschool.edu.ge

https://www.medicalschool.edu.ge/

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- საექთნო განათლება
- ფარმაცია (სააფთიაქო)

კოლეჯი შპს „პროფიუნიტი“

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

პროფესიული განათლება ქიათურაში იწყება 1928 წლიდან, როცა გაიხსნა პირველი საფაბრიკო-საქარხნო სკოლა. შემდგომ ქალაქში არსებობდა ორი პროფესიული სასწავლებელი, რომლებმაც ფუნქციონირება შეწყვიტეს 2005 წლის შემდეგ.

2009 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე, შეიქმნა საზოგადოებრივი კოლეჯი შპს ,,პროფიუნიტი“, რომელიც მიღებას აწარმოებდა პროფესიულ უმაღლეს განათლებაზე. 2011 წლიდან კოლეჯმა მიღება დაიწყო საგნობრივ პროგრამებზე.

2018 წლიდან სასწავლებელი ,,პროფიუნიტი“ ორიენტირებულია მოდულურ პროგრამებზე. გამომდინარე იქიდან, რომ ქიათურა ძირითადად ორიენტირებულია სამთო მრეწველობის განვითარებაზე, შპს ,,პროფიუნიტში“ პროფესიული სტუდენტების მომზადება ხდება სამთო დარგის მიმართულებით. სწორედ ამის გამო, კურსდამთავრებულთა 99% დასაქმებულია შპს ,,ჯორჯიანმანგანეზში“; ბევრი მათგანი დაწინაურებულია და მუშაობს ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

შპს ,,პროფიუნიტს“ გააჩნია შესანიშნავი კაბინეტ-ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია სამთო დარგისთვის საჭირო მაკეტებით და თვალსაჩინოებებით, რომლებსაც პროფესიული პედაგოგები იყენებენ სტუდენტების მომზადების დროს.

პროფესიული სტუდენტები პრაქტიკას გადიან და თეორიულად მიღებული ცოდნის გაღრმავებას ახდენენ ჩვენს პარტიორ ორგანიზაციაში - შპს ,,ჯორჯიანმანგანეზში“, სადაც მათ პრაქტიკულ კომპონენტს ასწავლიან გამოცდილი სამთო სპეციალისტები. სწორედ ამიტომ, შპს ,,პროფიუნიტის“ კურსდამთავრებულები გამოირჩევიან პროფესიული უნარ-ჩვევებით და სამთო საქმის ცოდნით, რაც ხელს უწყობს მათ სამსახურებრივ წარმატებას.

შპს ,,პროფიუნიტის“ სტუდენტები ხშირად სტუმრობენ ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანას და ვარციხე ჰესს, გამოცდილებისა და ცოდნის დონის ასამაღლებლად; მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებაში, რომლებიც იმართება ჩვენს ქალაქში და პროფესიულ კოლეჯებში.

სასწავლებელი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სამთო დარგის მცოდნე პროფესიული პედაგოგებით, რაც მაქსიმალურად მაღალი ხარისხის ცოდნის მიღების შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს.

შპს „პროფიუნიტისა“ და პარტნიორი ორგანიზაცია შპს ,,ჯორჯიანმანგანეზის“ მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა განაპირობებს მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სამთო სპეციალისტების მომზადებას და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალ მაჩვენებელს.

ქ. ქიათურა, გ. თხელიძის #29

0 (479) 251960; 577 234 381

profiuniti@gmail.com

profiuniti.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- სამთო საქმე, მიმართულება - სამთო ტექნიკოსი
- სამთო საქმე, მიმართულება - სამთო ელექტრომექანიკოსი
- სამთო საქმე, მიმართულება - მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- გვირაბგამყვანი
- ელმავლის მემანქანე

საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

დეკორატიული მებაღეობის კოლეჯი ფუნქციონირებს 2006 წლიდან. იგი დაარსდა საქართველოს კათოლიკოს-პარტიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიასთან, როგორც „დეკორატიული მებაღეობისა და ეკოლოგიის ინსტიტუტი“ და უკვე 17 წელია ამზადებს ეკოლოგიური ცნობიერების მქონე კვალიფიციურ სპეციალისტებს, რომლებიც შრომის ბაზარზე გადიან მოთხოვნად და კონკურენტუნარიან პროფესიონალებად.

2011 წლის 11 დეკემბერს სასწავლებელმა მოიპოვა ავტორიზაცია და ამ პერიოდიდან ფუნქციონირებს როგორც ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი".

2019 წლიდან კოლეჯი ახორციელებს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ შემდეგ პროგრამებს:

- მებაღეობა - შეისწავლება დეკორატიული მებაღეობის საკითხები, მცენარეთა გამრავლება, ბაღის სეზონური მოვლა, მცენარეების გასხვლა-ფორმირება და სხვ.
- ბაღის დიზაინი - შეისწავლება დეკორატიული ბაღების, სკვერებისა და გამწვანების სხვა ობიექტების პროექტირება და მათი რეალიზება.

კოლეჯს აქვს სადემონსტრაციო ტექნიკით აღჭურვილი ნათელი და თბილი აუდიტორიები, თანამედროვე საბაღე ტექნიკა და აღჭურვილობა, 7 ჰა ტერიტორია პრაქტიკული სწავლებისთვის (დეკორატიული მცენარეებით, ხეხილის ბაღით, ვენახით), ბიბლიოთეკა უახლესი წიგნადი ფონდით, სპეციალურად კოლეჯის სტუდენტებისათვის შემუშავებული სალექციო კურსები ქართულ ენაზე.

ქ. თბილისი, ქვემო ელია,
სამრეკლოს ქ. #19, წმინდა სამების
საკათედრო ტაძრის კომპლექსი

(995 32) 745 502

dmsk.college@gmail.com

www.dmsk.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- მებაღეობა
- ბაღის დიზაინი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი წარმოადგენს ავტორიზებულ მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას. კოლეჯი 30 წელზე მეტია აქტიურად მოღვაწეობს პროფესიული განათლების სივრცეში და სასწავლო პროცესს ახორციელებს თბილისისა და თელავის განყოფილებებში.

სასწავლო საქმიანობის სრულყოფილად წარმართვისათვის კოლეჯი უზრუნველყოფილია თანამედროვე ლაბორატორიებით, სასწავლო აუდიტორიებით, ბიბლიოთეკით, სახელმწიფოს მიერ 100%-ით დაფინანსებული პროფესიული საგანმანათლებლო და მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამებით, მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროგრამების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლებით და ადმინისტრაციული პერსონალით.

კოლეჯი ორიენტირებულია კვალიფიციური კადრების მომზადებასა და დასაქმების ხელშეწყობაზე. კოლეჯი აქტიურად იღებს იმ გამოწვევებს, რომლებიც შრომის ბაზრის მოთხოვნებთანაა დაკავშირებული. ამის დასტურია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა წამყვან დაწესებულებაში.

მე-7 წელია კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს გერმანულ კომპანია - „Medicjobline“-თან, რომელიც გერმანიაში წარმოადგენს დასაქმების ხელშეწყობის ორგანიზაციას. აღნიშნული ორგანიზაცია უზრუნველყოფს საქართველოში დიპლომირებული ექთნების გერმანიაში კვალიფიკაციის აღიარებას, დასაქმებისთვის შესაფერისი კლინიკების მოძიება/შეთავაზებას და სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხის მოგვარებას. გერმანიაში კვალიფიკაციის აღიარების მომენტში, თუ გამოვლინდა შესაბამისი საგნების ან საათების ნაკლებობა, მათ ანაზღაურებას ჩვენი კოლეჯი ადგილზე უზრუნველყოფს თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსის განხორციელებით. ამის დამადასტურებლად კოლეჯი გასცემს სერტიფიკატს, რომელსაც აღიარებს გერმანული მხარე. სტუდენტები პარალელურ რეჟიმში ინტენსიურად ემზადებიან გერმანულ ენაში. აღნიშნული სწავლება ფინანსდება გერმანული მხარის მიერ. სწავლების დასრულების შემდეგ სტუდენტები გადიან გასაუბრებას დამსაქმებელი კლინიკების წარმომადგენლებთან, დებენ კონტრაქტებს და სამუშაო ვიზით მიემგზავრებიან გერმანიაში, კონტრაქტში მითითებული ვადით. ბრენდირება:

2016-2017 წლებში საქართველოში, კერძო კოლეჯების ასოციაციის ორგანიზებით, განხორციელდა ბრენდირების პროცესი. პროცესში აქტიურად ჩაერთო შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი. კოლეჯმა ბრენდირების ყველა კრიტერიუმი დააკმაყოფილა და მიიღო მაქსიმალური შეფასება. კოლეჯი ორივე წელს 5 ვარსკვლავის მფლობელი გახდა.

ქ. თბილისი, ზაზიაშვილის ქ. #1
ქ. თელავი, ლესელიძის ქ. #1

568 402 020; 599 143 672
593 161 635

fanaskerteli@gmail.com

https://fanaskerteli.edu.ge/
https://www.facebook.com/fanaskerteli.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

ქ. თბილისი:

- საექთნო საქმე - V დონე
- ფარმაცია (სააფთიაქო) - V დონე
- აღმზრდელი (სკოლამდელი განათლება) - V დონე
- საინფორმაციო ტექნოლოგიები - III დონე
- საფინანსო სერვისები - III დონე

ქ. თელავი:

- საექთნო საქმე - V დონე
- ფარმაცია (სააფთიაქო) - V დონე
- აღმზრდელი (სკოლამდელი განათლება) - V დონე
- საფინანსო სერვისები - III დონე

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

ქ. თბილისი:

- გერიატრიის ასისტენტ-გადამზადების პროგრამა
- სალაროს ოპერაციების განხორციელება - მომზდების პროგრამა
- კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა - მომზადების პროგრამა
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა - გადამზადების პროგრამა

ქ. თელავი:

- გერიატრიის ასისტენტი - გადამზადების პროგრამა
- სალაროს ოპერაციების განხორციელება - მომზადების პროგრამა
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა - გადამზადების პროგრამა

შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია

ინფორმაცია აკადემიის შესახებ

საზოგადოებრივი პროფესიული სასწავლებელი - ბათუმის სამედიცინო აკადემია ფუნქციონირებს 1992 წლიდან.

აკადემია ამზადებს პროფესიული განათლების სპეციალისტებს ჯანდაცვის მიმართულებით. არსებობის განმავლობაში სასწავლებელი დაამთავრა ასობით ახალგაზრდა სპეციალისტმა, რომლებიც პროფესიის მიხედვით დასაქმებულნი არიან რეგიონის წამყვან სამედიცინო დაწესებულებებში, მოღვაწეობენ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

აკადემიას გააჩნია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ინფრასტრუქტურა - მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საკუთარი სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, ბიბლიოთეკა, კაბინეტ-ლაბორატორიები; აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები, მემორანდუმები წამყვან სამედიცინო და ფარმაცევტულ დაწესებულებებთან. აქვს მჭიდრო კავშირი დამსაქმებლებთან. აკადემიას ჰყავს წამყვანი პროფესიული მასწავლებლები.

ბათუმის სამედიცინო აკადემია მუდმივად არის სიახლეების ძიებაში და აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ღონისძიებაში. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის პროცესში პროფესიული განათლების რეფორმის მხარდაჭერისათვის 2015 წელს სამედიცინო აკადემიას გადაეცა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მადლობის ბარათი.

აკადემია მონაწილეობდა 2016, 2019, 2022, 2023 წლებში გამართულ „ტურიზმისა და მედიცინის“ საერთაშორისო გამოფენებში. დაჯილდოებულია „ექსპრო ბათუმის“ 2016, 2019, 2022, 2023 წლების სერტიფიკატებით.

აკადემია არის საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის აქტიური წევრი. 2016 წლის ბრენდირებაში სასწავლებელმა მიიღო უმაღლესი შეფასება და მიენიჭა 5 ვარსკვლავი. აქვს მოპოვებული „პროფესიული განათლების ჯილდო - 2022.“

2023 წლიდან სასწავლებელი ორიენტირებულია ჯანდაცვის და სხვა მიმართულებით კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრების მომზადებაზე.

ქ. ბათუმი, ტბეთის #4

593 408 070; 577 661 477;
555 232 291

bat.medicalacademi@mail.ru

www.bmeda.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- საექთნო განათლება (V დონე)
- ფარმაცია (სააფთიაქო) (Vდონე)
- კბილის სატექნიკო საქმე (Ivდონე)

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- გერიატრიული ასისტენტი (მომზადების პროგრამა)

შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი დაარსების დღიდან (2000 წ.), თავისი საქმიანობით, ორიენტირებულია საზოგადოებაში პროფესიული განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე.

კოლეჯში არის:

- სასიამოვნო გარემო და ოჯახური ატმოსფერო
- მაღალკვალიფიციური პროფესიული მასწავლებლები
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აღჭურვილობის აუდიტორიები და ლაბორატორიები
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აღჭურვილობის პრაქტიკის ობიექტები
- მოდულური სწავლება
- კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მექანიზმები
- გაიცემა - უმაღლესი სახელმწიფო პროფესიული ორენოვანი (ევროპის ქვეყნებში ვალიდური) დიპლომი!

ჩვენი დევიზია: ისიამოვნე სწავლით, დასაქმდი წარმატებით!

ქ. საგარეჯო გ. ლეონიძის #33ა

555 513 228; 558 44 50 16

iliasagarejo@gmail.com

http://iliaedu.ge/

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- ფარმაცია - დასაქმების გარანტიით
- ვეტერინარია
- ალმზრდელი
- ბულალტერია
- საოფისე საქმე
- ინფორმაციის ტექნოლოგია

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- მცირე ბიზნესის ბულალტრული აღრიცხვა

კოლეჯი შპს სიო

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

კოლეჯი შპს სიო წარმოადგენს იმერეთის რეგიონში, კერძოდ, ქ.ქუთაისში მოწინავე პროფესიულ სასწავლებელს, რომელიც დაარსდა 2001 წელს და დღემდე ლიდერობს შრომის ბაზარზე. იგი ავტორიზებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

კოლეჯი სიო ემსახურება შიდა და გარე ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადებას, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებას, პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას.

კოლეჯი ამზადებს უმაღლესი პროფესიული განათლების მქონე სპეციალისტებს საექთნო საქმეში. მათ ეძლევათ სახელმწიფო დიპლომი, რომელსაც იყენებენ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. კურსდამთავრებულები კონკურენტუნარიანნი არიან ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში, ამიტომ მათზე მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება.

კოლეჯი შპს სიო გამორჩეულია რეგიონში კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლით, რაც განპირობებულია რეალურ ბიზნესთან მყარი ურთიერთთანამშრომლობით.

კოლეჯში სწავლებას უძღვებიან მაღალკვალიფიციური პროფესიული მასწავლებლები, რომლებსაც აქვთ საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილება.

კოლეჯის სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, გერმანული გამოცდილების გაზიარების მიზნით, პრაქტიკა გაიარონ ქალაქ ბერლინში.

ქ. ქუთაისი,
გალაკტიონ ტაბიძის #72/დ

(+ 995) 599 494 738

siosiordia@gmail.com

www.sio.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- საექთნო საქმე (გაიცემა „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია“, მე-5 დონე; სწავლის ხანგრძლივობა - 3 წელი)

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- შინმოვლის სპეციალისტი

შპს ცხუმ-ეგრისი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

კოლეჯი „ცხუმ-ეგრისი“ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მოქმედი მრავალპროფილური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა. კოლეჯი დაარსდა 2006 წელს.

კოლეჯი ახორციელებს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამის საბაზო და უმაღლესი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს; ორიენტირებულია ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაზე, პიროვნების პროფესიული განვითარების, დასაქმების და მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღების ხელშეწყობაზე. კოლეჯი უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობით, დიდი წვლილი შეაქვს რეგიონის პროფესიულ, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში.

ამასთან ერთად, კოლეჯი, კერძო სექტორთან ურთიერთთანამშრომლობის გზით, ახორციელებს პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებს, აქტიურად არის ჩართული სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამაში“ და მსურველებს სთავაზობს თანამედროვე შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიულ მომზადება-გადამზადების პროგრამებს.

ქ. ზუგდიდი, მ. კოსტავას ქ. #32

info@ckhum.edu.ge

www.ckhum.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- საფინანსო სერვისები
- ელექტრობა
- ინფორმაციის ტექნოლოგია
- აღმზრდელი
- ბუღალტრული აღრიცხვა

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- გერიატრიული ასისტენტი
- სალაროს ოპერაციების განხორციელება
- შიდა ელექტროგაყვანილობის მონტაჟი
- ელექტრონული ბუღალტერია
- კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა
- მმართველობითი და საინფორმაციო დოკუმენტების მომზადება
- სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა

ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ

ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი 1994 წელს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით დაარსდა. GIPA, 90-იანი წლების ერთ-ერთი პირველი დასავლური ინოვაციური პროექტია, რომელიც ერთი სამაგისტრო პროგრამით დაიწყო, დღეს კი პროფესიულ, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს აერთიანებს. ის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს იმისა, თუ როგორ შეიძლება საერთაშორისო გრანტის მიმღები პატარა ორგანიზაცია გადაიქცეს მდგრად, განვითარებაზე ორიენტირებულ წარმატებულ ინსტიტუციად, რომელიც არსებობის განმავლობაში მაღალი რეპუტაციის მქონე უნივერსიტეტის სახელს ატარებს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. როგორც ამერიკის ელჩმა, იან კელიმ აღნიშნა: “GIPA არის ყველაზე წარმატებული ინვესტიცია, რაც კი ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოში განუხორციელებია”.

თითქმის სამი ათწეულია ინტერაქტიული სასწავლო პროგრამების, ტრენინგებისა და კონსულტაციების საშუალებით უნივერსიტეტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სხვადასხვა სახელმწიფო, კერძო და სამოქალაქო სექტორის განვითარებაზე. ამასთან ერთად, GIPA-ს დიდი წვლილი მიუძღვის დამოუკიდებელი მედიის ჩამოყალიბებაში.

GIPA არ ღალატობს თავის მთავარ მიზანს - ახალი, ინოვაციური და შრომის ბაზრის მოთხოვნასთან შესაბამისი პროფესიების დანერგვასა და წარმატებით განხორციელებას. GIPA-მ 2017 წელს, პირველმა საქართველოში, დანერგა და დღემდე წარმატებით ახორციელებს უმაღლეს პროფესიულ პროგრამას - შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები. პროგრამა შემუშავდა საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაცია - RRC International-თან ერთად, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოს (MCA-Georgia) ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამა ხორციელდება NEBOSH-ის საერთაშორისო სტანდარტის საფუძველზე და სრულ თანხვედრაშია ქართულ საგანმანათლებლო სივრცესა და საკანონმდებლო მოთხოვნებთან.

GIPA - არის უნივერსიტეტი, რომლის ირგვლივ იკრიბებიან წარმატებული ადამიანები ბიზნესის, მედიის, სამართლის, სამოქალაქო საზოგადოების თუ საჯარო სამსახურის სფეროებიდან, რომლებიც სტუდენტებს მუდმივად უზიარებენ ცოდნას და გამოცდილებას. GIPA-ს პროფესიული პროგრამის მიზანია, დასაქმებაზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური პროფესიონალების მომზადება საქართველოში.

კერძო, საჯარო და სამოქალაქო ჩართულობის გზით, ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ, დავნერგოთ და მივაწოდოთ საზოგადოებას თანამედროვე, ინოვაციური, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ასახავს ადგილობრივ საჭიროებებს, ემყარება თანამედროვე სწავლების მეთოდებს, ითვალისწინებს საქართველოში არსებულ სოციო-ეკონომიკურ გამოწვევებს და თანხვედრაშია დამსაქმებლების მოთხოვნებთან.

ქ. თბილისი, იეთიმ გურჯის ქ. #9
599 714 800; 577 101 107
hsetvet@gipa.ge
www.gipa.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები

შპს ორიენტირი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

შპს ორიენტირი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი, დაარსდა 1992 წელს და დღემდე, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წარმატებით ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას - ამზადებს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამის კვალიფიციურ კადრებს.
შპს ორიენტირს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილებით, მინიჭებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი 6 წლის ვადით.
კოლეჯს მფლობელობაში აქვს 1 270 52 კვადრატული მეტრის საერთო ფართობის მქონე 3-სართულიანი შენობა-ნაგებობა, რომელიც განთავსებულია 1701 კვ.მ. მიწის ფართობზე. შენობაში არის ნათელი და ვრცელი ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, დასასვენებელი სივრცეები, ადმინისტრაციის სამუშაო კაბინეტები, სამედიცინო ოთახი, საკონფერენციო დარბაზი; ყოველი სივრცე აღჭურვილია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, შენობის ყველა სართული უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით. ასევე, შენობის გარე პერიმეტრზე მოწყობილია სპორტული მოედანი.
შენობა და მიმდებარე ტერიტორია კონტროლდება სათვალთვალო კამერებით.
შპს ორიენტირმა, თავისი არსებობის განმავლობაში, ბევრ წარმატებას მიაღწია:

- 2016 წელს, ნაციონალური ბიზნესრეიტინგების კავშირის მიერ ჩატარებული საწარმოო-სამეურნეო სუბიექტების ზოგადსახელმწიფოებრივი რანჟირების ერთ-ერთი კრიტერიუმის - „მართვის ეფექტიანობის“ მიხედვით, კოლეჯი შევიდა ლიდერ საწარმოთა ტოპ-ათეულში და გადაეცა შესაბამისი ჯილდო - „ოქროს რეიტინგი“;
- შპს ორიენტირმა მონაწილეობა მიიღო და მაქსიმალური შეფასება - „ხუთი ვარსკვლავი“ დაიმსახურა საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ბრენდირებაში - „ბრენდირება 2016“ და „ბრენდირება 2017“. კოლეჯი აქტიურად მონაწილეობდა და კვლავაც აგრძელებს მონაწილეობას კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებაში, რისთვისაც მიღებული აქვს არაერთი სერტიფიკატი.
- 2019 წელს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის მიერ, კოლეჯი ორიენტირი დაჯილდოვდა „საუკეთესო პარტნიორის ტიტულით“, განსაკუთრებული თანამშრომლობისა და დასაქმების ხელშეწყობის კუთხით გაწეული ღვაწლისათვის.

ამჟამად, კოლეჯი ავტორიზებულ რეჟიმში ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს: „საექთნო განათლება“ (მეხუთე დონე), „ფარმაცია“ (სააფთიაქო) (მეხუთე დონე), „საფინანსო სერვისები“ (მესამე დონე), „კბილის სატექნიკო საქმე“ (მეოთხე დონე); „ღონისძიების ორგანიზება“ (მეოთხე დონე) და „აღმზრდელი“(მეხუთე დონე).
ორიენტირის მიერ წარდგენილმა პროექტმა - „ზამთრის სკოლა: ტრანსფერული უნარების გაძლიერება-დასაქმების ხელშეწყობისთვის“ - გაიმარჯვა 2022 წელს ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში „პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსტრაკურიკულური აქტივობების დანერგვა და განვითარება“. აღნიშნული პროექტი წარმატებით განხორციელდა.
კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები. ისინი მუდმივად ზრუნავენ საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებასა და განვითარებაზე, სხვადასხვა ტრენინგსა და ღონისძიებაში მონაწილეობით, რითაც ხელს უწყობენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა/განვითარებას. პროფესიული სტუდენტები, პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების შემადგენელ პრაქტიკულ კომპონენტს ეუფლებიან წარმატებულ ორგანიზაციებსა და კომპანიებში, მათივე კვალიფიციური კადრების მხარდაჭერით.
კოლეჯი ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებას პროგრამის შესაბამის დარგსა და სფეროში. მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მაღალ ხარისხს ადასტურებს მათი დასაქმების მაღალი სტატისტიკური მაჩვენებელი.
შპს ორიენტირი, დაარსების დღიდან, ფეხს უწყობს განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებებს და აქტიურად არის ჩართული პროფესიულ საფეხურზე კვალიფიციური კადრების მომზადების პროცესში.

ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. #26
577 784 746; 599 275 739
collegeorientiri@gmail.com
www.orientiri.edu.ge

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები

- საექთნო განათლება
- ფარმაცია (სააფთიაქო)
- კბილის სატექნიკო საქმე
- საფინანსო სერვისები
- აღმზრდელი
- ღონისძიების ორგანიზება

პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამები

- სალარო ოპერაციების განხორციელება
- ჯანმრთელობა, ჰიგიენა და უსაფრთხოება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში
- გერიატრიული ასისტენტი
- სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა
- სააღმზრდელო პროცესების ორგანიზება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

პროფესიული უნარების საგენტო

UNDP